პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

15 ნოემბერი, შაბათი, 1986 წ. № 219 (2380) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




ფეხბურთის გულშემატკივრებს დიდი სიხარული მოუტანა ლანჩხუთის „გურიამ". გუნდმა ერთი ტურით ადრე მოიპოვა საგზური, რაც მას უფლებას აძლევს გაისად ქვეყნის უძლიერეს საფეხბურთო კოლექტივებს შორის იასპარეზოს. ეს ფოტოსურათი ბოლოსწინა ტურში მოსკოვის „ლოკომოტივთან" ლანჩხუთელთა შეხვედრის შემდეგაა გადაღებული. ბათუმის „დინამოს" სტადიონზე ფოტოჟურნალისტებმა ფირზე აღბეჭდეს „გურია", რომელმაც ეს-ესაა მძიმე და საპატიო გამარჯვება მოიპოვა.

ჯემალ კახრაძის ფოტო.

# კულტურა და სპორტი

თითქმის წელიწადნახევარია, რაც გამოვიდა დადგენილება „საკლუბო დაწესებულებებისა და სპორტული ნაგებობების გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომელიც 1985 წლის 12 ივნისს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ფაქტობრივად, ამ ორ სფეროში მუშაობის რადიკალურად გარდაქმნის საწყისად იქცა.

ჩვენს ქვეყანაში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სპორტული ობიექტების ფართო ქსელი მოქმედებს. პარტიამ დღის წესრიგში წამოსწია უფრო ეფექტურად მათი გამოყენების საკითხი, საჭიროა მეტად ამაღლდეს საკლუბო დაწესებულებებისა და სპორტული ნაგებობების როლი იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში, მშრომელთა დარაზმვაში ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანათა წარმატებით შესასრულებლად.

ჩვენი რესპუბლიკის კულტურისა და სპორტის ორგანოებმა ცალ-ცალკე და ერთობლივად დიდი მუშაობა ჩაატარეს ამ სადირექტივო დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად. ახლა სულ უფრო ხშირად იმართება კულტურულ-სპორტული ღონისძიებები. ურთიერთობაში და საერთო ამოცანის გადაჭრის გზაზე მოიხსნა უწყებრივი ბარიერები. თვით ის ფაქტი, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში საკლუბო დაწესებულებებისა და სპორტული ნაგებობების გამოყენების საკითხი ერთადაა განხილული, იმის მანიშნებელია, რომ პრაქტიკულად ხორცშესხმას იწყებს სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის აღზრდის აუცილებლობა — ჩვენი სოციალური ყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

კულტურისა და სპორტის სფეროს ურთიერთობა მხოლოდ ერთობლივ ღონისძიებებში როდია გამოხატული. კულტურის კერებმა ბევრგან ფართოდ გაუღო კარი ფიზკულტურისა და სპორტის მოყვარულებს, იქაც, ისევე როგორც სპორტულ კერებზე, არსებული შესაძლებლობები მთლიანად დგება ადამიანის კეთილდღეობის, მისი ჯანმრთელობის სამსახურში.

მაგრამ მიღწევებთან ერთად, ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა გადასაჭრელი. პირველ ყოვლისა მხედველობაში გვაქვს საქმის ორგანიზაციული მხარე, ფინანსურ დისციპლინასთან დაკავშირებული საკითხები. სწორედ ამიტომაა, რომ დღემდე ჩვენს რესპუბლიკაში არსად შექმნილა ჯანმრთელობის სკოლა, სპორტის ცალკეულ სახეობებში მოყვარულთა კლუბები კი მეტწილად საზოგადოებრივ ენთუზიაზმზეა დაფუძნებული. არსად არაა შექმნილი მშდ კომპლექსის ჯგუფები, ხოლო ბავშვთა და მოზარდთა სპორტული კლუბების უმრავლესობა ჯერ ისევ ფორმალურად არსებობს. საბირექტივო დადგენილება ითვალისწინებს განზოგადდეს „კულტურის სასახლეების, სახლების, კლუბებისა და სპორტული ნაგებობების მოვლისა და გამოყენებაში იმ საწარმოთა წილობრივი მონაწილეობის გამოცდილება, რომლებსაც არა აქვთ საკუთარი კულტურისა და სპორტის დაწესებულებები".

სამწუხაროდ, ჩვენს რესპუბლიკაში ჯერჯერობით ვერც ამ მხრივ მოვიწონებთ თავს. კულტურისა და სპორტის არსებული ობიექტების სრული დატვირთვით გამოყენება კი დიდადაა დამოკიდებული იმაზე, იქნება თუ არა კეთილმოწყობილი ეს კერები.

ფიზიკურ კულტურას, სპორტს, საერთოდ კულტურას ჩვენში განსაკუთრებული პროპაგანდა აღარ ესაჭიროება. მთავარია მზად ვიყოთ, დავაკმაყოფილოთ ადამიანების მოთხოვნილებები, შევუქმნათ მათ სულიერი და ფიზიკური აღზრდის ისეთი პირობები, როგორიც დღევანდელობას, ჩვენი ცხოვრების საერთო კულტურის დონეს შეეფერება.

ამ პრობლემების გადაჭრა შეგვიძლია და უნდა გადავჭრათ კიდეც.

## „გურია" უმაღლეს ლიგაში"

ციტატა

ИЗВЕСТИЯ
СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ СССР

„იზვესტიამ" 14 ნოემბრის ნომერში გამოაქვეყნა წერილი „გურია" უმაღლეს ლიგაში", „ლელოს" მკითხველებს ვთავაზობთ ერთ ციტატას ამ წერილიდან:

„საქართველოს პატარა ქალაქ ლანჩხუთის გუნდმა „გურიამ" 12 ნოემბერს საკავშირო ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში ანგარიშით 1:0 დაამარცხა „ლოკომოტივი" და პირველად თავის ისტორიაში მოიპოვა უმაღლესი ლიგის საგზური. გამარჯვების გოლი ბათუმის სტადიონზე 76-ე წუთზე გაიტანა „გურიის" ფეხბურთელმა ბ. ფრიდონაშვილმა. „გურია" მეშვიდე სეზონია გამოდის პირველ ლიგაში. შარშან ამ გუნდმა მე-17 ადგილი დაიკავა, წლეულს კი მკვეთრი აღმავლობა განიცადა. ქართველ ფეხბურთელთა თამაში გამოირჩევა მაღალი ტექნიკით, შეტევისადმი მისწრაფებით. შემთხვევითი არაა, რომ შედეგიანობის მიხედვით „გურია" ახლა მესამე ადგილზე იმყოფება. მან ყველაზე მეტი გამარჯვება მოიპოვა, ამასთან ლანჩხუთელმა ფორვარდმა ბ. ფრიდონაშვილმა დუშანბელ ვ. მინასიანთან ერთად 26-26 ბურთი გაიტანა და ორივენი ლიდერობენ ლიგის ბომბარდირთა სიას.

## საქართველოს სპორტსახკომში

ამ კვირის განმავლობაში გრძელდებოდა სპორტის ცალკეულ სახეობებში რესპუბლიკის ნაკრები გუნდების სარეზერვო შემადგენლობების სპორტსმენთა და მწვრთნელთა შეხვედრა სპორტსახკომის ხელმძღვანელებთან. შეხვედრაზე მოიწვიეს ცურვის, ბადმინტონის, თავისუფალი ჭიდაობისა და ტყვიის სროლის სარეზერვო გუნდები და სპორტსმენთა აღმზრდელები, სპორტსახკომის შესაბამისი სამმართველო-განყოფილებების პასუხისმგებელი მუშაკები.

შეკრებაზე ითქვა, რომ რეზერვთან მუშაობის ორგანიზაცია პრაქტიკულად ისვეწება და მწყობრ სისტემად ყალიბდება. ამ მუშაობამ დადებითი შედეგები უნდა მოგვცეს უკვე მომავალი წლის საკავშირო შეჯიბრებებში. ნიჭიერ სპორტსმენთა გამოვლენა-დახვეწების ერთიან უწყვეტ სისტემაში, ცხადია, ყურადღების ცენტრშია რეზერვის.... რეზერვის მომზადების საკითხიც.

## გაემგზავრნენ...

გუშინწინ მოსკოვიდან არაბთა გაერთიანებული საემიროების დედაქალაქ აბუ-დაბიში ქალთა XII და ვაჟთა XXVII საჭადრაკო ოლიმპიადებში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრნენ საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები.

ქალთა ნაკრებში არიან: მაია ჩიბურდანიძე, ელენა ახმილოვსკაია, ნანა ალექსანდრია და ნონა გაფრინდაშვილი; ვაჟთა ნაკრებში — გარი კასპაროვი, ანატოლი კარპოვი, ანდრეი სოკოლოვი, არტურ იუსუპოვი, ვიტალი ცეშკოვსკი და რაფაელ ვაჰანიანი.

ოლიმპიადების საორგანიზაციო კომიტეტის ცნობით, შეჯიბრებებში მოსალოდნელია 44 ქალთა და 109 ვაჟთა გუნდის გამოსვლა. მანამდე ყველაზე ხალხმრავალი იყო „ოლიმპიადა-82", რომელშიც 92 ნაკრები მონაწილეობდა.

## გამარჯვება ბაქოში

ბაქოში დამთავრდა პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეების ნაკრები გუნდების IX საკავშირო შეჯიბრების ზონალური ტურნირი გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე. ფინალის საგზურისთვის 8 გუნდი იბრძოდა (თითოეულ გუნდში 6 ჭაბუკი და ერთი გოგონა იყო).

37 ქულით I ადგილი დაიკავა ვ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული საჭადრაკო სკოლის გუნდმა (ოსტატი ლაშა ჯანჯღავა, ოსტატობის კანდიდატები იანის პოპოვი, აკაკი იაშვილი, ალექსი ლაზარაშვილი, ბაკურ თავაძე, გელა ბერიძე, ნათია ჯანჯღავა), რომელსაც ბაქოში ახლდნენ სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, უფროსი მწვრთნელი ვალიკო ურიდია და ამ სტრიქონების ავტორი.

ჩვენმა ნაკრებმა სძლია კრასნოდარის (5:2), ფრუნზეს (5,5:1,5), დუშანბეს (5,5:1,5), აშხაბადის (4:3), ბაქოს (6:1) და ტირნაუზის (7:0) გუნდებს.

II ადგილზე ვილნიუსის ნორჩი მოჭადრაკეები (34 ქულა) გავიდნენ.

აი, თითოეული ჩვენი მოჭადრაკის წვლილი: ჯანჯღავა — 6,5 ქულა 7-დან, პოპოვი, იაშვილი— 5-5, ლაზარაშვილი — 4,5, თავაძე — 5,5, ბერიძე — 4, ჯანჯღავა — 6,5.

პრიზის ფინალური გათამაშება მომავალი წლის მარტში, ბაქოში გაიმართება. ზონებში გამარჯვებულ გუნდებს (ასეთი 6 იქნება) სათავეში ჩაუდგებიან კაპიტნები (მათივე ქალაქელი დიდოსტატი ან საერთაშორისო ოსტატი), რომლებიც გუნდებს ერთდროული თამაშის სეანსებს ჩაუტარებენ. თითოეული მატჩის შედეგი იქნება კაპიტნისა და მისი გუნდის მიერ დაგროვილი ქულების ჯამი. მოსალოდნელია, რომ მასპინძელთა გუნდს უხელმძღვანელებს მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი.

**ალექსანდრე ბოკუჩავა,**
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი.

## ფედერაციის პლენუმი

გუშინ თბილისში გაიმართა ზამთრის სპორტის სახეობათა რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმი. პლენუმმა აირჩია ფედერაციის საბჭო და პრეზიდიუმი. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი დამირ მანჯგალაძე.

## მონდომება დიდი ძალაა...

ცხენი, როგორც სატრანსპორტო საშუალება, რესპუბლიკის მაღალმთიან რაიონებში ჯერ კიდევ 60-იანი წლების დასაწყისამდე შემორჩა. ყველაზე ბოლოს, ცხენი, რომელიც ცაგერის კომკავშირის რაიკომს ერიცხებოდა, ჩვენს რესპუბლიკაში 1961 წელს ჩამოწერეს. და აი, ამ რაიონში კვლავ გამოჩნდნენ ცხენ-მხედრები, ოღონდ... ამჯერად მერანი სატრანსპორტო საშუალება არ ყოფილა და მხედარი — მგზავრი. რაიონში ცხენოსნობის ეროვნული სახეობების აღდგენა დაიწყეს და ის ცხენ-მხედრები, 8 ნოემბერს ცაგერის აეროპორტში რომ გამოჩნდნენ, ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში გამართული შეჯიბრებების მონაწილენი იყვნენ. მაყურებელმა იხილა დოლი და ყაბახი, ისინი აღტაცებულნი ტოვებდნენ იმ დღეს იპოდრომად ქცეულ აეროდრომს.

მონდომება დიდი ძალაა...



„ლელო" უკვე იუწყებოდა, რომ ამ დღეებში ზუგდიდში დამთავრდა ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობა ცხენოსნობაში. სურათზეა „გახსნის პრიზზე" გამარჯვებული მხედარი ვიქტორ მოხირი. წერილს დღეს გთავაზობთ მე-4 გვერდზე.

თამაზ ქიქავას ფოტო.

## დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისთვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი კონსტანტინე იუანეს ძე მახარაძე დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

გარდაქმნა კონკრეტული საქმით იწყება

# ტალანტების ძებნაში კომპიუტერებიც დაგვეხმარებიან

**თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების ცხოვრებაში დანერგვის გარეშე პროგრესი წარმოუდგენელია. ასეა ჩვენი მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში და ამ მხრივ გამონაკლისი არც ფიზკულტურა და სპორტი გახლავთ.**

თანამედროვე სპორტისთვის დამახასიათებელია მისი მნიშვნელოვანი გაახალგაზრდავება და შედეგების განუხრელი ზრდა. ეს ყველაფერი ნორჩ სპორტსმენთან ახალი მეთოდებით მუშაობას მოითხოვს.

მაღალკვალიფიციური ათლეტების მოსამზადებლად საჭიროა სპორტული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვების გამოვლენა და შესაბამის სექციებში მათი თავმოყრა.

სამწუხაროდ, ეს საქმე ჩვენს რესპუბლიკაში აქამდე თვითდინებაზე იყო მიშვებული. შერჩევა ხდებოდა პრიმიტიული წესით, მეცნიერთა მიერ მიკვლეულ კანონზომიერებათა გაუთვალისწინებლად. მაგრამ ახლა საქმეს სასიკეთო პირი უჩანს. საქართველოს სპორტსახკომმა რესპუბლიკის განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროებთან ერთად მიიღო დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს სპორტული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვების შერჩევას და მათ შესაბამის სექციებში ჩაბმას. დადგენილების შესასრულებლად ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები, კერძოდ, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოყალიბდა ბავშვთა და მოზარდთა ექსპერიმენტული სკოლა, რომელიც უხელმძღვანელებს პერსპექტიული ბავშვების შერჩევას და რეკომენდაციებს მისცემს მწვრთნელებს იმის შესახებ, თუ სპორტის რომელ სახეობაში სჯობს მათი ჩაბმა.

— უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბავშვების შერჩევა ერთჯერადი ღონისძიება არ გახლავთ, — გვეუბნება საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პრორექტორი სამეცნიერო დარგში, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ირაკლი ქუთათელაძე.

— თანამედროვე მეცნიერების მიღწევათა საფუძველზე შერჩევა ხანგრძლივი უნდა იყოს. შერჩევისას გასათვალისწინებელია ბავშვთა ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებები, მათი გენეტიკა... მაღალ დონეზე უნდა ჩატარდეს სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა.

შერჩევა უნდა მოხდეს არა ერთი, ან ორი, თუნდაც ძალზე საჭირო კრიტერიუმების, არამედ კომპლექსური მაჩვენებლების გათვალისწინებით, რაც ბავშვთა ინდივიდუალური მონაცემების მეტ-ნაკლები ობიექტური შეფასების საშუალებას მოგვცემს.

როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე საზღვარგარეთის მეცნიერთა და სპეციალისტთა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სპორტული ნიჭით მადლცხებულნი 6-7 წლის ასაკის ბავშვებში უნდა ვეძებოთ. უფრო ნაადრევი შერჩევა მიზანშეუწონელია, რადგან წამყვან მეცნიერთა და სპეციალისტთა უმრავლესობის აზრით, სკოლამდელი ასაკის ბავშვების კონსტიტუციური დიაგნოსტიკა და აქედან გამომდინარე მათი ფიზიკური განვითარების დიაგნოსტიკა ზუსტი არ არის.

**● კონკრეტულად როგორ მოხდება სპორტული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვების შერჩევა?**

— თავდაპირველად კარგი მონაცემების მქონე ბავშვებს ფიზკულტურის მასწავლებლები შეარჩევენ, შემდეგ მათ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები გამოცდიან. ფიზიკური განვითარების შესაფასებლად საორიენტაციო ნორმატივები დავაწესეთ. ამ ნორმატივების ჩაბარება ბავშვებს არ გაუძნელდებათ. მაგალითად, პროგრამაშია 30 მეტრზე რბენა, ადგილიდან სიგრძეზე ხტომა... ყურადღებას ვაქცევთ ბავშვის სიმაღლეს, წონას, ჯანმრთელობის მდგომარეობას, ნორჩების მორფოფუნქციონალური პარამეტრების პროგნოზირების მიზნით გამოვიკვლევთ ბავშვთა მშობლებსაც. ბავშვზე შედგება დოსიე, რომელსაც ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა დაამუშავებს. ამრიგად, თითოეულ ბავშვზე, ასე ვთქვათ, ინფორმაციის ბანკი გვექნება და მათზე სამი წლის განმავლობაში გავაგრძელებთ დაკვირვებას. ბავშვებს წელიწადში ორჯერ ჩაუტარდებათ საფუძვლიანი შემოწმება. ამ ხნის მანძილზე მათ საერთო ფიზიკურ მომზადებაზე ვიზრუნებთ. ნორჩთა ჰარმონიული განვითარების მიზნით ვარჯიშები მსუბუქი იქნება. ბავშვებს სამი წლის მანძილზე სისტემატიურად მიეცემათ ტესტები და სამედიცინო ბიოლოგიური კონტროლი ჩაუტარდებათ. ყველა ეს მონაცემი რეგულარულად თავს მოიყრის ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის „მეხსიერებაში“.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კლიმატური პირობები და მოსახლეობის ანთროპომეტრია განსხვავებულია. ამიტომ ჩვენ ვიქნებით პირველი, ვინც ამგვარ გამოკვლევას ჩაატარებს.

**● დათვალიერებაზე სპორტული მონაცემების მქონე ბავშვების შესარჩევად მეთოდები ალბათ უკვე დამუშავებული გექნებათ.**

— დიახ, ჩვენ უკვე დავამუშავეთ ბავშვების ჯანმრთელობისა და ფიზიკური განვითარების, აგრეთვე, ფიზიკური მომზადების მაჩვენებლების ტესტირების მეთოდები.

**● თქვენ რამდენჯერმე ახსენეთ ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები. რამდენადაც ვიცით, ფიზკულტურის ინსტიტუტს ასეთი მანქანები არა აქვს.**

— სამაგიეროდ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გამოთვლით ცენტრს აქვს. ისინი მზად არიან დაგვეხმარონ.

**● ბავშვებზე ასეთი დაკვირვება ალბათ სამეცნიერო მუშაობაშიც დაგეხმარებათ.**

— დიახ, სამეცნიერო მუშაობისთვის ეს ფართო „პოლიგონი“ იქნება, რაც უდავოდ ხელს შეგვიწყობს საქმიანობის გარდაქმნაში. ეს სიახლე სარგებლობას მოუტანს სტუდენტებსაც, რომელთაც პირველი კურსიდანვე ბავშვებთან მუშაობაში ჩავაბამთ. ეს იქნება, ასე ვთქვათ, სტუდენტთა კავშირი „წარმოებასთან“.

ვესაუბრეთ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებულ ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დირექტორს ნოე ლობჟანიძეს.

**● როდის დაინერგება ეს სიახლე — სპორტული თვისებების მქონე ბავშვთა მეცნიერული შერჩევა?**

— პრაქტიკულად შერჩევა უკვე მიმდინარეობს. პირველ ეტაპზე თბილისის 40 საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლები თავად არჩევენ ბავშვებს, როგორც გოგონებს, ისე ბიჭებს. ჩვენ შევამოწმეთ ეს სკოლები და ვნახეთ, რომ იქ მუშაობა მიმდინარეობდა. ვესაუბრეთ ამ სკოლების დირექტორებსაც, 17 ნოემბრიდან კი ნორჩებს მძლეოსნობის მანეჟში ვუმასპინძლებთ.

**● მზადა ხართ გამოცდებისთვის?**

— რა თქმა უნდა. გამოცდებისთვის შევიძინეთ საჭირო ინვენტარი, თითოეული გამომცდელისთვის — საგანგებო ფორმა. გამოსაცდელად შემუშავებული გვაქვს ნორმატივები, რომელთა ჩაბარება ბავშვებისთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. გვაქვს ჩვენი სკოლის მუშაობის გეგმა-კონსპექტი, მწვრთნელ მასწავლებელთა სამუშაო ტაბელი... ერთი სიტყვით, ჩვენ ყველანაირად მზად ვართ.

**● რამდენი ბავშვის შერჩევას ვარაუდობთ?**

— ყოველწლიურად 500-500 ბავშვს შევარჩევთ, ვამეცადინებთ და გამოვიკვლევთ, სამი წლის მერე კი მათ შესაბამის რეკომენდაციებს მივცემთ. გამოდის, რომ სამი წლის მერე სკოლაში, ყოველწლიურად, 1500 ბავშვი გვეყოლება. შერჩეული ბავშვების ნაწილს, რომლებსაც გამოკვლევების შედეგად სპორტის ამა თუ იმ სახეობის მიდრეკილებები აღმოაჩნდება, შესაბამის სექციაში ვარჯიშის რეკომენდაციას მივცემთ.

**● შერჩევა მთელი რესპუბლიკის მოსწავლეთათვის ჩატარდება?**

— სამწუხაროდ, დღევანდელი პირობები არა თუ რესპუბლიკის, არამედ თბილისის ყველა სკოლის პირველკლასელთა შერჩევის საშუალებასაც არ გვაძლევს. თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს უკვე დავურიგეთ სპეციალური გრაფიკი და, როგორც აღვნიშნეთ, 17 ნოემბრიდან მუშაობასაც დავიწყებთ. თუ სხვა სკოლების ხელმძღვანელებიც გამოთქვამენ სურვილს მათი აღსაზრდელების შერჩევის თაობაზე, ვეცდებით მათი თხოვნაც დავაკმაყოფილოთ.

**საუბარი ჩაიწერა
ავთანდილ რაჭველიშვილმა.**

## გორი, ქუთაისი, კასპი...

19 ნოემბერს კიშინიოვში დაიწყება საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ჭიდაობა ძიუდოში. ამ შეჯიბრების წინ ქართველმა ძიუდოისტებმა ძალები შეამოწმეს ახლახან ქუთაისში ჩატარებულ საქართველოს თასის გათამაშებაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ნაკრებმა გუნდებმა. შეჯიბრებაში უძლიერესი შემადგენლობით იასპარეზეს გორისა და ქუთაისის გუნდებმა, რომელთაც სათავეში ედგნენ მეცხრე საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონები, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები კობა კურტანიძე და ავთანდილ გუბელაძე. ფინალში სწორედ ეს გუნდები გავიდნენ. მანამდე გორელებმა დაამარცხეს თბილისისა და ცხინვალის გუნდები, ქუთაისელებმა კი კასპელებსა და რუსთაველებს აჯობეს. გადამწყვეტი შეხვედრა გორელთა გამარჯვებით დასრულდა — 4:1. მესამე ადგილზე კასპელები გავიდნენ.

## რატომ არ ვეძებთ?

„ლელოში“ რამდენჯერმე გამოქვეყნდა წერილი რუბრიკით „ვეძებთ ტალანტებს“ რესპუბლიკურ-რეგიონალური დაუსწრებელი დათვალიერება-შეჯიბრების შესახებ მძლეოსნობაში, რომელსაც ჩვენს რესპუბლიკაში არსებული რეზერვები უნდა გამოევლინა, ტალანტებისათვის გაეკაფა გზა.

სამწუხაროდ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სპორტის მესვეურებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს ამ განცხადების მნიშვნელობა და დროულობა.

განათლების საოლქო განყოფილებამ ვერ უზრუნველყო ოლქის სკოლებში განცხადებაში მითითებული წესითა და თანმიმდევრობით შეჯიბრების ჩატარება მძლეოსნობის სხვადასხვა სახეობებში (სირბილი, ხტომა, ტყორცნა).

შეჯიბრებების დროს ქალაქ ცხინვალის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არ გაფორმდა სათანადო დოკუმენტაცია, არ გამოვლინდა ტალანტები, არ შედგა ანკეტები და არ გაიგზავნა ისინი დანიშნულებისამებრ მოწოდებას არც ოლქის სხვა რაიონებსა და სოფლებში გამოხმაურებიან.

**ლეილა სუგელიანი,**
(„ლელოს“ საკ. კორ.).
ცხინვალი.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

## „რისთვის აშენდა სასროლეთი?“

ჩვენი გაზეთის 4 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა რეპლიკა „რისთვის აშენდა სასროლეთი?“, ვწერდით, რომ ვაშლიჯვარში მდებარე დოსააფის სასროლეთი წლების განმავლობაში ფაქტიურად უპატრონოდაა მიტოვებული, მოუვლელია და უქმად ცდება.

რეპლიკის გამოქვეყნების შემდეგ ერთ თვეზე მეტი გავიდა, მაგრამ არც დოსააფის ხელმძღვანელები გამოგვხმაურებიან და სასროლეთიდანაც სროლის ხმა არ ისმის.

ავდექით და კიდევ ერთხელ ვეწვიეთ ვაშლიჯვარს. იქნება, ვისაც სასროლეთის მოვლა-პატრონობა ევალება, ამ ფოტოსურათებმა მაინც გაახსენოს თუ როგორ გამოიყურება დღეს მათი ბაზა, რაც მთავარია, გაახსენოს მოვალეობა და პასუხისმგებლობა.



სასროლეთი „ყავარჯნით“.



ვაშლიჯვარის „აკროპოლი“.



პნევმატური ტირი ახლა ასეთია.



საშენებლო მასალაც ფუჭდება.

## ორი ტურნირი და თხუთმეტი პრიზიორი

**ოქტომბრის მიწურულსა და ნოემბრის დამდეგს კიევსა და ვოროშილოვგრადში საუცხოოდ იასპარეზეს საქართველოს მოზარდმა მოკრივეებმა. უკრაინის დედაქალაქში ჩვენი ქვეყნის 21 ქალაქის 180 წარმომადგენელი ეცილებოდა ერთმანეთს სხვადასხვა წონით კატეგორიაში გამარჯვებას. ეს შეჯიბრება სამამულო ომში დაღუპულ გმირთა ხსოვნას მიეძღვნა.**

საქართველოს ნაკრები 15 სპორტსმენით წარსდგა ტურნირზე, მათგან ათმა საპრიზო ადგილი მოიპოვა. გაიმარჯვეს როინ ბიკვაიძემ (54 კგ; ცხაკაია; მწვრთნელი თამაზ ვახანია), ზურაბ ფალიანმა (60; მესტია; ალექსანდრე ჯაფარიძე), თემურ კოზაევმა (63; თბილისი; ზაურ კოზაევი) და კამო ავეტისოვმა (66; ჭიათურა; თემურ ლორთქიფანიძე).

II ადგილზე ჭიათურელი მამუკა ლექავა გავიდა (70; თ. ლორთქიფანიძე).

III ადგილები დაიკავეს ედუარდ დანიელოვმა (50; სურენ პეტროსიანი), გოჩა ბურუაშვილმა (52; თ. ვახანია), ვალერი კარიბოვმა (63; სამივე — თბილისი; ალექსანდრე ბორტნიკოვი), თამაზ ბუაძემ (74; ჭიათურა, თ. ლორთქიფანიძე) და მალხაზ ხვედელიანმა (85; თბილისი, რევაზ მეგრელიშვილი).

ამ სპორტსმენთა გარდა შეჯიბრებაზე თავი გამოიჩინეს თამაზ ბუაძემ (ჭიათურა) და კახა ტურავამ (ფოთი), რომელნიც ორგანიზატორებმა სხვადასხვა პრიზებით დააჯილდოვეს.

აღსანიშნავია, რომ 25-30 ნოემბერს ცხაკაიაში ჩატარდება საქართველოს პირველობა ამ ასაკის მოკრივეთა შორის. ეს ტურნირი შეარჩევს საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდის კანდიდატებს, რომელთაც გაისად მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე მოუწევთ გამოსვლა. ცხაკაიაში კიევის ტურნირის მონაწილეებიც იასპარეზებენ.

ვოროშილოვგრადში გაიმართა ადგილობრივი სტადიონის „ავანგარდის“ ღია პირველობა სოციალისტური შრომის გმირის ა. დრაგოლუნცევის პრიზზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის, ლიტვის, მოლდავეთისა და საქართველოს სპორტსკოლების აღსაზრდელები. საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავდა რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპეციალიზებული სკოლის ხუთი მოკრივე. ჩვენმა მოზარდებმა ორ-ორი I და II და ერთიც — III ადგილი დაიკავეს.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს არტურ ოგანიანმა (60 კგ) და ლერი ლარიბოვმა (67 კგ). ფინალში გავიდნენ ნუგზარ ტყემალაძე (54 კგ) და ნიკოლოზ კირიაკოვი (60 კგ. სხვათა შორის, ნიკოლოზი ფინალურ ორთაბრძოლაში თანაგუნდელ ოგანიანთან დამარცხდა). III ადგილი დაისაკუთრა გოჩა კოსტანოვმა (57 კგ).

ჩვენი გუნდები ამ შეჯიბრებისთვის მოამზადეს ალბერტ ელოსონიანმა, თემურ ლორთქიფანიძემ და საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ჯემალ გოგიაშვილმა.

**თეიმურაზ კვირკველია.**

# საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში 49

## უმაღლესი ლიგა

13 ნოემბერს კიევში შედგა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მატჩი ადგილობრივ „დინამოსა“ და ხარკოვის „მეტალისტს“ შორის. კიეველმა ევტუშენკომ მეორე ტაიმში ორი ბურთი გაიტანა „მეტალისტის“ კარში — 2:0.

გააფრთხილეს ხარკოველი ფეხბურთელი ს. კუზნეცოვი.

დუბლიორთა შეხვედრა დამთავრდა კიეველთა გამარჯვებით — 3:2.

ამ გამარჯვების შემდეგ კიევის „დინამომ“ 30 ქულით 24 მატჩის შემდეგ მერვედან მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა.

I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მატჩებში 12 ნოემბერს, როგორც ცნობილია, ლანჩხუთის „გურიამ“ ანგარიშით 1:0 დაამარცხა მოსკოვის „ლოკომოტივი“, ხოლო რიგის „დაუგავამ“ დუშანბეში ფრედ ითამაშა „პამირთან“ — 3:3.

I ლიგის ბოლოსწინა ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „ატლანტასი“ (კლაიპედა) 2:0, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — ასკ (დონის როსტოვი) 2:0, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 0:1, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 0:4, „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „დინამო“ (ბათუმი) 1:0, ცსკა — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 1:0, „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) — „ისკრა“ (სმოლენსკი) 3:1, „დინამო“ (სტავროპოლი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 4:2, „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 3:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — ასკ (ხაბაროვსკი) 1:0.

ლიგის ბოლო, 48-ე ტურის მატჩები გაიმართება დღეს, 15 ნოემბერს. გთავაზობთ დასკვნითი ტურის კალენდარს: „ფაკელი“ — „გურია“, ცსკა — „დინამო“ (ბათუმი), „ფახთაქორი“ — „დაუგავა“, „პამირი“ — „ატლანტასი“, ასკ „კარპატი“ — „ყუბანი“, „ნისტრუ“ — ასკ (დონის როსტოვი), „სპარტაკი“ — „ლოკომოტივი“, „როსტსელმაში“ — „შინიკი“, „დინამო“ (სტავროპოლი) — „ისკრა“, „კოლოსი“ — ასკ (ხაბაროვსკი), „მეტალურგი“ — „კუზბასი“.

● **ბოლო** ტურის მატჩები გამოარკვევს I ლიგის გამარჯვებულს, რომელსაც გადაეცემა სპეციალური პრიზი, ხოლო მოთამაშეები დაჯილდოვდებიან ოქროს ჟეტონებით.

## I ლიგა

● **ამავე** დღეს გაირკვევა ლიგის საუკეთესო ბომბარდირიც. ჯერჯერობით წინ არიან ლანჩხუთის „გურიის“ თავდამსხმელი ბ. ფრიდონაშვილი და დუშანბეს „პამირის“ ფეხბურთელი ვ. მინასიანი. მათ 26-26 ბურთი გაიტანეს. მესამე ადგილზეა რიგელი ა. სტარკოვი, რომელსაც 22 ბურთი აქვს გატანილი.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა ბოლო ტურის წინ**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გურია“ | 45 | 28 | 5 | 12 | 79-63 | 61 |
| „დაუგავა“ | 45 | 24 | 13 | 8 | 82-46 | 60 |
| ცსკა | 45 | 25 | 9 | 11 | 60-35 | 59 |
| ასკ „კარპ.“ | 45 | 22 | 10 | 13 | 68-50 | 54 |
| „პამირი“ | 45 | 21 | 12 | 12 | 75-47 | 54 |
| „როტორი“ | 46 | 22 | 7 | 17 | 69-56 | 51 |
| „ლოკომ.“ | 45 | 20 | 11 | 14 | 61-47 | 51 |
| „როსტს.“ | 45 | 20 | 10 | 15 | 81-68 | 50 |
| „კოლოსი“ | 45 | 19 | 11 | 15 | 47-45 | 49 |
| „დინ.“ ბ. | 45 | 20 | 8 | 17 | 50-56 | 48 |
| „ფაკელი“ | 45 | 19 | 8 | 18 | 53-43 | 46 |
| „მეტალურ.“ | 45 | 17 | 10 | 18 | 58-53 | 44 |
| „კუზბასი“ | 45 | 16 | 12 | 17 | 62-60 | 44 |
| „შინიკი“ | 45 | 16 | 14 | 15 | 40-40 | 44 |
| ასკ რ. | 45 | 16 | 11 | 18 | 54-49 | 43 |
| „სპარტაკი“ | 45 | 15 | 12 | 18 | 57-64 | 42 |
| „კოტაიკი“ | 46 | 14 | 13 | 19 | 46-54 | 40 |
| „ფახთაქ.“ | 45 | 15 | 9 | 21 | 55-73 | 39 |
| „დინ.“ სტ. | 45 | 13 | 15 | 17 | 64-58 | 38 |
| „ყუბანი“ | 45 | 13 | 14 | 18 | 39-47 | 38 |
| ასკ ხ. | 45 | 12 | 12 | 21 | 49-60 | 36 |
| „ისკრა“ | 45 | 11 | 13 | 21 | 30-58 | 34 |
| „ატლანტასი“ | 45 | 9 | 10 | 26 | 39-74 | 28 |
| „ნისტრუ“ | 45 | 5 | 9 | 31 | 29-101 | 19 |

# ფინალური ტურნირი დამთავრდა

დამთავრდა II ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების ზონებში გამარჯვებული გუნდების ფინალური ტურნირები, რომელთა მონაწილე 9 გუნდი 3 ჯგუფად იყო დაყოფილი.

თავიანთ ჯგუფებში გამარჯვებები მოიპოვეს კუიბიშევის „კრილია სოვეტოვმა“, ტიუმენის „გეოლოგმა“ და ვოროშილოვგრადის „ზარიამ“, რომლებიც გაისად მონაწილეობას მიიღებენ I ლიგის საკავშირო შეჯიბრებაში.

# საუკეთესოთა დაჯილდოება

**პარიზში მოეწყო მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი. ლაურეატებს გადაეცათ „ფრანს-ფუტბოლისა“ და ფირმა „ადიდასის“ პრიზები.**

„ოქროს ბუცით“, რომელიც გადაეცემა ევროპის ეროვნული ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირს, დაჯილდოვდა ჰოლანდიის „აიაქსის“ თავდამსხმელი მარკო ვან ბასტენი, რომელმაც გასულ სეზონში 37 ბურთი გაიტანა. „ვერცხლის ბუცით“ დააჯილდოეს დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ ფორვარდი ოლეგ პროტასოვი. მან სსრ კავშირის ჩემპიონატში შარშან 35 ბურთი გაიტანა. „ბრინჯაოს ბუცი“ გადაეცა ავსტრიელ ფეხბურთელს ანტონ პოლსტერს და თურქ ტანიუ ჩოლაკს, რომლებმაც თითოეულმა 33-33 ბურთი გაიტანა თავისი ქვეყნის შარშანდელ ჩემპიონატში.

სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელები. „ოქროს ბურთი“ გადაეცა არგენტინელ ფეხბურთელს დიეგო მარადონას, „ვერცხლის ბურთი“ — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების მეკარეს ჰაროლდ შუმახერს, ხოლო „ბრინჯაოს ბურთი“ — დანიელ თავდამსხმელს პრებენ ლარსენ-ელკიაერს.

მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს ჰარი ლინეკერს (ინგლისი) გადაეცა „ოქროს ბუცი“. ჰ. ლინეკერმა მექსიკაში 6 ბურთი გაიტანა.

# „ოქროს ბუცი“ — ვან ბასტენს

1968 წელს ფრანგულმა ჟურნალმა „ფრანს ფუტბოლმა“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირებისთვის სპეციალური ჯილდოების დაწესებით საუკეთესო თავდამსხმელებს ერთგვარი სტიმული მისცა, მაგრამ ამ სამი პრიზის დაწესებას ბევრი უკმაყოფილოდ შეხვდა. საქმე ის არის, რომ პრეტენდენტები სხვადასხვა რაოდენობის მატჩებს ატარებენ და ამიტომ არათანაბარ პირობებში არიან.

ასეა თუ ისე, სნაიპერების შეჯიბრება „ოქროს ბუცისთვის“ თავიდანვე პოპულარული გახდა. რასაკვირველია, ჯილდოს მხოლოდ განსაკუთრებული მონაცემების მქონე თავდამსხმელები ისაკუთრებენ, თუმცა სჯობს მკითხველი ამაში თვითონ დარწმუნდეს. მოგვყავს „ფრანს ფუტბოლის“ ყველა კონკურსის შედეგები „ოქროს“, „ვერცხლისა“ და „ბრინჯაოს ბუცის“ ლაურეატთა მითითებით.

1968: — ეუსებიო (ლისაბონის „ბენფიკა“)—42 ბ., დუნაი (ბუდაპეშტის „უიპეშტ-დოჟა“) — 36, ლენოქსი (გლაზგოს „სელტიკი“) — 32.

1969: ჟეკოვი (სოფიის ცსკა „სეპტემვრიისკო ზნამე“) — 36, სიდერისი (პირეოსის „ოლიმპიაკოსი“) — 35, დუნაი (ბუდაპეშტის „უიპეშტ-დოჟა“) და კეგელბერგერი (ვენის „აუსტრია“) — 31-31 ბურთი.

1970: გერდ მიულერი (მიუნჰენის „ბაიერნი“) — 38, დევილი (ლუქსემბურგის „სპორა“) და ჟეკოვი (სოფიის ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამე“) — 31-31 ბურთი.

1971: სკობლარი (მარსელის „ოლიმპიკი“) — 44, კეიტა („სენტ-ეტიენი“) — 42, დედესი (ათენის „პანიონიოსი“) — 33.

1972: გერდ მიულერი (მიუნჰენის „ბაიერნი“) — 40, ანტონიადისი (ათენის „პანათინაიკოსი“) — 39, ჰარპერი („აბერდინი“), ლი („მანჩესტერ სიტი“) და სანტრაჩი (ბელგრადის ოფკ) — 33-33 ბურთი.

1973: ეუსებიო (ლისაბონის „ბენფიკა“) — 40, გერდ მიულერი (მიუნჰენის „ბაიერნი“) — 36, ჟეკოვი (სოფიის ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამე“) — 29.

1974: იასალდე (ლისაბონის „სპორტინგი“) — 46, კრანკლი (ვენის „რაპიდი“) — 36, ბიანკი („სტად დე რეიმსი“), ჰაინკესი (მიონჰენგლადბახის „ბორუსია“) და გერდ მიულერი (მიუნჰენის „ბაიერნი“) — 30-30 ბურთი.

1975: ჯორჯესკუ (ბუქარესტის „დინამო“) — 33, გეელსი (ამსტერდამის „აიაქსი“). იასალდე (ლისაბონის „სპორტინგი“), ონისი („მონაკო“) — 30-30 ბურთი, რიული („ანტვერპენი“) და ვან დერ კეელენი („ეინდჰოვენი“) — 28-28 ბურთი.

1976: კაიაფასი (კიპროსის „ომონია“) — 39, ბიანკი („სტად დე რეიმსი“) — 34, რიზი („ციურიჰი“) — 33.

1977: ჯორჯესკუ (ბუქარესტის „დინამო“) — 47, ვარადი (ბუდაპეშტის „ვაშაში“), გეელსი (ამსტერდამის „აიაქსი“) და დიტერ მიულერი („კიოლნი“) — 34-34 ბურთი.

1978: კრანკლი (ვენის „რაპიდი“) — 41, ბიანკი (პარიზის „სენტ-ჟერმენი“) — 37, გეელსი (ამსტერდამის „აიაქსი“) — 32.

1979: კისტი (ჰოლანდიის „ალკმაარი“) — 34, ფეკეტე (ბუდაპეშტის „უიპეშტ-დოჟა“) და მავროსი (ათენის აეკ-ი) — 31-31 ბურთი, კრანკლი („ბარსელონა“) — 29.

1980: ვანდენბერგი (ბელგიის „ლიერსი“) — 39, ფაზეკაში (ბუდაპეშტის „უიპეშტ-დოჟა“) — 36, შახნერი (ვენის „აუსტრია“) — 34.

1981: სლავკოვი (ბულგარეთის „თრაკია“) — 31, ნილაში (ბუდაპეშტის „ფერენცვაროში“) და კარლ-ჰაინც რუმენიგე (მიუნჰენის „ბაიერნი“) — 29-29 ბურთი.

1982: კიფტი (ამსტერდამის „აიაქსი“) — 32, კისტი („ალკმაარი“), ონისი (საფრანგეთის „ტური“) — 29-29, ჰანსენი (დანიის „ოდენსე“) — 28.

1983: გომეში („პორტუ“) — 36, ჰოუტმანი (როტერდამის „ფეიენოორდი“) — 30, ანასტოპულოსი (პირეოსის „ოლიმპიაკოსი“) — 29.

1984: რაში („ლივერპული“) — 32, ვან ბასტენი (ამსტერდამის „აიაქსი“) — 28, კლაასენი (ბელგიის „სერენი“) — 27.

1985: გომეში („პორტუ“) — 39, მაკგოფი („ლინფილდი“) — 34, ჰალილჰოჯიჩი („ნანტი“) — 28 ბურთი.

1986 წლის კონკურსმა ახალი სნაიპერების სახელები გაგვაცნო. ბევრ ქვეყანაში ჩემპიონატის დამთავრებამდე გახდა ცნობილი ოლეგ პროტასოვის საბოლოო შედეგი — 35 ბურთი. ამან დაბადა კითხვა: იქნებოდა თუ არა ეს საკმარისი „ოქროს ბუცის“ მოსაპოვებლად? ხუთ შემთხვევაში პროტასოვის შედეგი „ოქროს ბუცის“ მფლობელთა მაჩვენებლებსაც კი სჭარბობდა, უფრო „ვერცხლის ბუცის“ ახლომახლო ტრიალებდა და აღემატებოდა „ბრინჯაოს ბუცის“ მოსაპოვებლად საჭირო ქულათა მარაგს. წინასწარი მონაცემები ბევრს გვპირდებოდა, მაგრამ...

და აი, ევროპის ყველა ქვეყანაში ჩემპიონატები დამთავრდა. საბოლოო ანგარიშით პროტასოვს გაუსწრო მხოლოდ ერთმა — ჰოლანდიელმა ვან ბასტენმა (ამსტერდამის „აიაქსი“), რომელმაც 37 გოლით „ოქროს ბუცი“ მოიპოვა. დიახ, 23 წლის მარკო ვან ბასტენი ჩვენს ცხრილში ახალი ფიგურა არ გახლავთ — მან 1984 წელს „ვერცხლის ბუცი“ მოიპოვა და როგორც მიმომხილველები ვარაუდობენ, უახლოეს წლებში კვლავ საუკეთესო სნაიპერთა რიგებში იქნება. ოლეგ პროტასოვს 35 ბურთით „ვერცხლის ბუცი“ დარჩა, პოლსტერს (ვენის „აუსტრია“) და ჩოლაკს (თურქეთის „სამსუნი“) — „ბრინჯაოს ბუცი“ (33-33 ბურთი). 30-30 ბურთი გაიტანეს პაშევმა (ბულგარეთი, „თრაკია“) და მ. ფერნანდესმა (პორტუგალია, ლისაბონის „სპორტინგი“).

**ბიჭი ბამრეკელი.**

# „იტალია-90“ იწყებს მზადებას

**რომი.** პრეზიდენტის სასახლეში შედგა ფეხბურთში 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ოფიციალური წარდგინების ცერემონიალი, რითაც ასპარეზობის ორგკომიტეტის მუშაობა დაიწყო. იტალიის პრეზიდენტმა ფრანჩესკო კოსიგამ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში 1990 წლის ჩემპიონატის წარმატებით ჩატარებას. „ჩვენთვის ამოსავალია სპორტის მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიოში, — თქვა ფ. კოსიგამ, — მაგრამ არც იტალიის კეთილი სახელის დაცვას ვივიწყებთ“.

საპასუხო სიტყვაში ფიფა-ს პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა მადლობა გადაუხადა ქვეყნის ხელისუფალთ და გამოთქვა რწმენა, რომ იტალია წარმატებით გაართმევს თავს ჩემპიონატის მასპინძლობას.

„იტალია-90“-ის ორგკომიტეტის დირექტორმა ლუკა დი მონტეცემოლომ პრეზიდენტ კოსიგას გადასცა ჩემპიონატის ოფიციალური ემბლემა — ეროვნული დროშის ფერებით (მწვანე, თეთრი, წითელი) შეღებილი საფეხბურთო ბურთი და თილისმა — სპორტსმენის სტილიზებული ფიგურა. მხატვარ ლუჩო ბოსკარდინის ეს ნამუშევრები საუკეთესოდ ცნეს კონკურსზე გამოგზავნილ 12.500 ნახატს შორის.

დაასახელეს ქალაქი-კანდიდატები, სადაც ჩემპიონატის მატჩები უნდა გაიმართოს: ტურინი, ნეაპოლი, გენუა, ვერონა, უდინე, ბოლონია, ფლორენცია, რომი, ბარი, კალიარი და პალერმო. საბოლოო არჩევანი ფიფა-ს ეკუთვნის.

# ევროპის ჩემპიონატი



12 ნოემბერს გაიმართა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები.

### I ჯგუფი

სევილია. ესპანეთისა და რუმინეთის ფეხბურთელთა მატჩი უაღრესად დაძაბული ბრძოლის შემდეგ ესპანელთა გამარჯვებით დამთავრდა — 1:0. წვიმიან ამინდში, ატალახებულ მინდორზე რუმინელებმა აქცენტი დაცვაზე გააკეთეს, თუმცა, რამდენიმე სახიფათო კონტრიერიში განავითარეს, რომელთა დროსაც საუკეთესოდ ითამაშა ესპანელთა მეკარე ზუბიზარეტამ. ერთადერთი ბურთი მიჩელმა გაიტანა 57-ე წუთზე, მან წამით დაასწრო რუმინელთა მცველებს.

გათამაშების ცხრილი:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-1 | 2 |
| ესპანეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 2 |
| ავსტრია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 2 |
| ალბანეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

### IV ჯგუფი

დიდი ინტერესით მოელოდნენ ინგლისისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდების შეხვედრას. ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე 60 ათასი მაყურებელი ადევნებდა თვალს დაძაბულ ბრძოლას, რომლის დროსაც ფეხბურთელები უხეშობასაც არ ერიდებოდნენ.

ინგლისელებს აკლდათ წამყვანი ფეხბურთელები რობსონი და შილტონი, ამავე დროს, ერთობ არადამაჯერებლად, ხშირი შეცდომებით თამაშობდნენ ინგლისის ნაკრების მცველები და იუგოსლავიელებს, კერძოდ, ზ. ვუიოვიჩს, არაერთხელ მიეცათ ბურთის გატანის შესაძლებლობა.

და, მაინც, ინგლისელებმა გაიმარჯვეს — 2:0, ბურთები გაიტანეს მებატმა და ანდერსონმა.

იზმირი. თურქეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდების შეხვედრაში უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია, თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 4 |
| იუგოსლავია | 2 | 1 | 0 | 1 | 4-2 | 2 |
| ჩრ. ირლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |
| თურქეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-4 | 1 |

### V ჯგუფი

უნგრელმა ფეხბურთელებმა კვლავ სუსტად ითამაშეს და ათენში ანგარიშით 1:2 წააგეს საბერძნეთის ნაკრებთან. ბერძენი ფეხბურთელები მეტოქეებზე გაცილებით უფრო ენერგიულად, მონდომებით იბრძოდნენ, 38-ე წუთზე ანგარიში გახსნა მიტროპულოსმა, შესვენების შემდეგ კი ანასტოპულოსმა მეორე ბურთი გაიტანა მეტოქის კარში. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო უნგრელმა ბოდამ მოპირდაპირე მცველთა შეცდომის გამოყენება და ერთადერთი საპასუხო ბურთი გაიტანა — 1:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 2 |
| ჰოლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 2 |
| საბერძნეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 2 |
| უნგრეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| კიპროსი | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |

### VI ჯგუფი

დანიის ნაკრებმა ჩეხოსლოვაკიელთა გუნდის წინააღმდეგ თავისი უძლიერესი შემადგენლობა გამოიყვანა, იტალიის პროფესიულმა კლუბებმა ამ მატჩში მონაწილეობისათვის გაათავისუფლეს დანიის საუკეთესო ფეხბურთელები ლაუდრუპი და ელკიაერი. მატჩი ბრატისლავაში შეუპოვარი ბრძოლით აღინიშნა, თუმცა წარმატებას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია — 0:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხოსლოვაკია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-0 | 3 |
| დანია | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 3 |
| უელსი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| ფინეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |

### VII ჯგუფი

შოტლანდიისა და ლუქსემბურგის გუნდების მატჩში, რომელიც გლაზგოში შედგა, მასპინძლებს სრული უპირატესობა ჰქონდათ — 3:0. პირველი ბურთი 24-ე წუთზე 11-მეტრიანით გაიტანა კუპერმა, მცირე ხნის შემდეგ მანვე 2:0-მდე აიყვანა ანგარიში, 67-ე წუთზე კი ჯონსტონმა მესამე ბურთი გაიტანა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 3 | 1 | 2 | 0 | 3-0 | 4 |
| ბელგია | 2 | 1 | 1 | 0 | 8-2 | 3 |
| ირლანდია | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| ბულგარეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| ლუქსემბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-9 | 0 |

# პოლონეთი — ირლანდია

ამხანაგურ საერთაშორისო მატჩი პოლონეთისა და ირლანდიის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის ვარშავაში მოიგეს პოლონელებმა — 1:0. ბურთი გაიტანა კონიარეკმა.

## საქართველოს პირველობა ცხენოსნობაში ჭაბუკთა შორის

# მასობრიობა იზრდება

**სასიხარულო** ამბით დავიწყებთ: საქართველოს ჭაბუკ ცხენოსანთა წლევანდელ პირველობაზე, რომელიც ზუგდიდში ჩატარდა, 27-წლიანი „შესვენების" შემდეგ კვლავ ვიხილეთ წალენჯიხელი მხედრები. რაიონში სპორტის ამ სახეობის აღორძინების საქმეს ენერგიულად მოჰკიდა ხელი წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობამ (დირექტორი ვალერი ჭანტურია). ამ მეურნეობის ცხენ-მხედრების დებიუტი, რესპუბლიკური პირველობის შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჯერ მოკრძალებული ჩანს, მაგრამ ის მონდომება და ყურადღება, რასაც აქ ცხენოსნობის განვითარებისადმი იჩენენ, 13-14 წლის ბიჭების უსაზღვრო ინტერესი ამ სახეობისადმი, საფუძველს გვაძლევს რესპუბლიკაში ერთადერთ ბავშვთა საცხენოსნო კლუბს კარგი მომავალი ვუწინასწარმეტყველოთ.

შეჯიბრება, რომლის ანგარიშსაც დღეს გთავაზობთ, ღია რესპუბლიკური პირველობა გახლდათ და მასში მოძმე სომხეთისა და აზერბაიჯანის მხედრებიც მონაწილეობდნენ. ეს, რა თქმა უნდა, სასარგებლო იყო როგორც სტუმრებისთვის, ისე მასპინძლებისთვის. აქვე დავძენთ, საქართველოს პირველობა რამდენიმე ათეული წელიწადია აღარ ჩატარებულა 60-მდე მხედრის მონაწილეობით.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელსაც ხშირად აღვნიშნავთ და ახლაც გავიმეორებთ: თბილისში განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ცხენოსნობის რესპუბლიკური სპეციალიზებული სპორტული სკოლის შექმნით დიდი და მეტად სასარგებლო საქმე გაკეთდა. ზემოხსენებული შეჯიბრება ფაქტობრივად ტერიტორიული პირველობა იყო და საყვედურს არავინ გამოთქვამდა, თბილისიდან რესპუბლიკის სპორტსახკომის საცხენოსნო ბაზას და განათლების სამინისტროს სპორტსკოლას ერთი ნაკრები გუნდი რომ გამოეყვანათ. მაგრამ შეჯიბრების ორგანიზატორების გადაწყვეტილება უფრო სწორი იყო — თბილისიდან საასპარეზოდ დაუშვეს ამ ორივე საცხენოსნო სპორტული კერის გუნდები (საცხენოსნო ბაზის მხედრებით დაკომპლექტდა თბილისი I, სპორტსკოლიდან — თბილისი II). ისლა დაგვრჩენია ვთქვათ, რომ თბილისის სპორტკომიტეტი, რომელიც მართლაც არაფერს იშურებს დედაქალაქში ცხენოსნობის განვითარების ხელშეწყობისათვის, დაჟინებით მოითხოვდა შეჯიბრებაში ორივე გუნდის მონაწილეობას. ამ პირველობაში გამოსვლა მართლაც კარგი სკოლა იყო ჭაბუკი მხედრებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისელთა გარდა, შეჯიბრების მონაწილე სხვა გუნდების წევრები მაინცდამაინც არ გამოირჩეოდნენ სპორტული მომზადებით. გამონაკლისს წარმოადგენდნენ გულრიფშელები ვიქტორ მოხირი და იგორ მამფორია, რომლებიც უკვე ჩამოყალიბებული ოსტატები არიან.

**სამწუხაროდ, შეჯიბრების პროცესში გამოვლინდა ზოგიერთი სპორტული მუშაკის გულგრილი დამოკიდებულება დაკისრებული მოვალეობისადმი. დეტალურად შესწავლის შემდეგ ამ საკითხებს ცხენოსნობის რესპუბლიკური ფედერაცია სპეციალურად განიხილავს.**

ახლა გაგაცნობთ ასპარეზობის ტექნიკურ შედეგებს:

**დაბრკოლებათა გადალახვა.** **„გახსნის პრიზი"**: 1. ვიქტორ მოხირი (გულრიფში), 2. ზურაბ გეგეშიძე (ფოთი), 3. მერაბ სამუშია (ოჩამჩირე); **„სამონადირეო პორკური"**: 1. იგორ მამფორია (გულრიფში), 2. ბესიკ გუდალია (გუდაუთა), 3. ზ. გეგეშიძე; **„ჭაბუკთა თასი"**: 1. მამუკა გიორგაძე (თბილისი I), 2. არტურ ოვსეპიანი (სომხეთი), 3. მურზალ-ოღლი რიმისი (ოჩამჩირე); **გუნდური:** 1. ოჩამჩირე, 2. გულრიფში, 3. თბილისი II.

**ორჭიდი:** 1. ირაკლი ჭაფოძე (თბილისი I), 2. ბადრი ხასია, 3. ემზარ კვარაცხელია (ორივე — ზუგდიდი); **ცხენის გაწვრთნა:** 1. ირინა კოზინა, 2. ლიანა სტანკუსი (ორივე — თბილისი I); 3. აშხენ ფავსნიანი (სომხეთი).

**საერთო-გუნდური ჩათვლა:** 1. თბილისი I — 252 ქულა, 2. თბილისი II — 238, 3. ოჩამჩირე — 217, 4. გულრიფში — 163, 5. ზუგდიდი — 159, 6. სოხუმი — 96, 7. ფოთი — 90, 8. აზერბაიჯანი — 75, 9. სომხეთი — 60, 10. გუდაუთა — 39, 11. გალი — 28, 12. წალენჯიხა — 18.



## სპორტი და ხელოვნება

# იცით, ვინ მოჰკლა აფიცერი?

ამ კითხვაზე პასუხი ვერ გავეცი. მერე, „საიდუმლო" რომ გამანდეს, თავად ვეკითხებოდი სხვებს. ბევრს აბნევდა ჩემი შეკითხვა. ბოლოს მაინც მივაგენი კაცს, რომელმაც ოფიცრის მკვლელის ვინაობა „გასცა".

— როგორ არ ვიცი, აფიცრის მკვლელის ვინაობაც ვიცი და ფარსადანისაც, — მითხრა ჩვენი რედაქციის ერთ-ერთმა ძველმა თანამშრომელმა არჩილ გოგოლაშვილმა. — ვერაზე, ფიქრის გორაზე, მთელი დღე ერთად დავდევდით ბურთს. მაშინ, ოცდაათიან წლებში, სად გვქონდა „ტანგოს", „აცტეკას", „ადიდასისა" თუ „არტექსის" ბურთები. ხშირად ლობიოს მარცვლებით წინდებს დავტენიდით და ფეხბურთის თამაშს ვაჩაღებდით. ერთ კლასში ვიყავით. ზოგჯერ, გაკვეთილებზე, სახელდახელოდ თანაკლასელების კარიკატურებს ხატავდა. მერე იყო ერთი ხითხითი. მასწავლებლებს ჩვენი დატუქსვა ავიწყდებოდათ, როცა იმ კარიკატურებს ათვალიერებდნენ. მაშინ, აფიცერს ცულით თავი რომ გაუპო, თერთმეტი წლისა იყო.

ახლა სამოცდაერთისაა. ისევ ვერაზე ცხოვრობს. აი, მისი სადარბაზო ბარათი: ზურაბ ლეჟავა საქართველოს დამსახურებული მხატვარია; თბილისის სამხატვრო აკადემია დაამთავრა, იყო საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, ქვეყნის მხატვართა კავშირის მდივანი. ახლა თბილისის სამხატვრო აკადემიის სამრეწველო გრაფიკის კათედრის გამგეა.

— საოცრად მორიდებული და მოკრძალებული ადამიანია, — ამბობს საქართველოს დამსახურებული მხატვარი ნოდარ მალაზონია, — პერსონალური გამოფენის მოწყობა ძლივს გადავაწყვეტინეთ. ალბათ ნახავდით იმ გამოფენას, რომელიც წლეულს მოეწყო მხატვრის სახლში. მერე ექსპოზიციამ ქუთაისშიც გადაინაცვლა. თავის ნამუშევრებს ხალხის სამსჯავროზე ისე არ გამოიტანს, თუ ათასჯერ არ აწონ-დაწონა და სხვების აზრიც არ მოისმინა, მაგრამ ყველაზე მკაცრი მსაჯული მაინც თვითონ არის.

ხელოვნებათმცოდნე მერი კარბელაშვილი წერს:

„ზურაბ ლეჟავას შემოქმედებისათვის დამახასიათებელია თემატიკური და ჟანრობრივი მრავალფეროვნება. მხატვარი ასრულებს წიგნის ილუსტრაციებს, ქმნის დაზგურ ნახატებს, პორტრეტებს, პეიზაჟებს, ნატურმორტებს, ჩანახატების სერიებს. ეს ნამუშევრები გამოირჩევა ნახატის სიზუსტით, ხაზის სისხარტითა და სიმსუბუქით... პორტრეტებს შორის განსაკუთრებით საგულისხმოა „მაქსიმ გორკი", „კობა წაქაძე", „მამაკაცის პორტრეტი", „გოგინიკა".

„კობა წაქაძის" ავტორთან ბატონმა ნოდარმა წამიყვანა.

სახლის აივანზე ტანვარჯიშის რგოლები დაუკიდია. რგოლები სახელოსნოშიც აქვს. აქ ქართული სული ტრიალებს. თაროებზე ნაირგვარი კალათები, დოქები, ძველებური ქვაბები, ჯიხვის რქები შემოუწყვია. დაზგაზე დაუმთავრებელი ფერწერული ტილოა — სვანეთის ზვიადი მთების ფონზე აღმართული კოშკები.

— როგორ ფიქრობთ, სპორტი რას აძლევს შემოქმედს, მაგალითად მხატვარს? — ვეკითხები ზურაბ ლეჟავას.

— მხატვართა, და არა მხოლოდ მხატვართა შთაგონების წყარო ოდითგანვე იყო, არის და იქნება ადამიანის ფიზიკური სრულყოფილება და სილამაზე. ასეთი სილამაზე კი, უწინარეს ყოვლისა, ათლეტში უნდა ვეძებოთ. ათლეტის შინაგანი დაძაბულობა, მისი ყოველი მოძრაობა, შეჯიბრების დინამიკა მრავალ ცნობილ მხატვარს აღებინებს ხელში ფუნჯს. მათი ქმნილებები პოპულარიზაციას უწევენ სპორტს.

თავის შემოქმედებით გეგმებს რომ გვაცნობდა, ზურაბ ლეჟავამ გვითხრა, რამდენიმე წელიწადია უშბის დახატვაზე ვოცნებობო.

— მომხიბლავია ორთავა უშბა, — ამბობს ჩვენი მასპინძელი. — ორი დღე ვხატავდი. ნახატის იქ დამთავრება არ შეიძლებოდა, მით უმეტეს, რომ მესამე დღეს ამინდი გაფუჭდა. 3000 მეტრ სიმაღლეზე ავედით. მეგზურობასა და მასპინძლობას სახელგანთქმული მთამსვლელი, ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი ჭიჭიკო ჩართოლანი გვიწევდა. მახსოვს, ჩემი ზურგჩანთის ტარება არაფრით არ დამანება. არასოდეს დამავიწყდება ჭიჭიკოს მეგობარი გაბრიელ ხერგიანი. საოცარი ხალხი იყო. კაცს მათგან უნდა ესწავლა სიდარბაისლე, ურთიერთობა, ქცევა...



ჭიჭიკო ჩართოლანი

ბატონ ზურაბს თავის თავზე ლაპარაკი არ უყვარს. ამიტომ ჯობს ისევ ნოდარ მალაზონიას მოვუსმინოთ:

— ლეჟავების ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები: მხატვრები, მსახიობები... ზურაბის მშობლები ჩინებულად მღეროდნენ. ხომ გახსოვთ შესანიშნავი ქართული სიმღერა „სალამურსა გულში ჩავწვდი..." ბევრმა ალბათ არც იცის, რომ მისი ტექსტიც და მუსიკაც ზურაბის მამას პლატონ ლეჟავას ეკუთვნის. ალბათ ოჯახურმა გარემომაც განსაზღვრა ზურაბის მრავალმხრივი მიდრეკილებანი. ხატვა სამი-ოთხი წლისამ დაიწყო. ბავშვობიდანვე ჩინებულად მღეროდა, ეკრანზეც ადრე გამოჩნდა. კინოფილმ „არსენაში" ზურიკოს როლი ითამაშა. „ვინ მოჰკლა აფიცერი?" ვისაც ეს ფილმი უნახავს, ალბათ, არ დაავიწყდება, რა თვალებანთებული, მართალია, შემკრთალი, მაგრამ მაინც გაუტეხელი, საბრძოლველად შემართული ისმენს ამ შეკითხვას პატარა ზურიკო. მერე მან ხომ ფარსადანზეც იძია შური. უკვე ჭაბუკმა „გიორგი სააკაძეში" ავთანდილის — სააკაძის ვაჟის როლი ითამაშა.



კობა წაქაძე

საინტერესო იყო „ქეთო და კოტეში" შესრულებული ეპიზოდური როლები... რა ჩინებულად მღერის ამ ფილმში გიორგი გელოვანთან ერთად. ზურაბ ლეჟავამ ითამაშა აგრეთვე მეზღვაურის („მალახოვის ყორღანი"), გარსევან ჭავჭავაძის („წიგნი ფიცისა"), ალიოშა ჯაფარიძის („მწვერვალთა დამპყრობნი") როლები... ერთხანს მარჯანიშვილის თეატრის მსახიობიც იყო.

— თქვენი როლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სპორტი უნდა გიყვარდეთ. ერთ ფილმში ფარიკაობთ, მეორეში თქვენი ნასროლი ტყვია მიზანს არ სცდება, მესამეში მწვერვალებს ლაშქრავთ. ახლა ეს რგოლები...

— ამ რგოლებზე მკლავს იშვიათად თუ გავმართავ, — მეუბნება მასპინძელი. — უფრო ხშირად კუს ტბის შემოგარენისკენ დავდივარ ფეხით. ეს არის და ეს.

აქ ისევ ნოდარ მალაზონია მეშველება, თავის მეგობარს საყვედურით ეუბნება: გაიხსენე, რა სერიოზულად იყავი გატაცებული ტანვარჯიშით, როგორ გამოგიყვანეს 1946 წელს მოსკოვში, წითელ მოედანზე გამართულ ფიზკულტურელთა ზეიმზე, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტშიც სწავლობდი; ან იმას რატომ არ ამბობ, როგორ ახვედი მწვერვალ ორწვერზე, როცა ალიოშა ჯაფარიძის როლი განასახიერეო. ან კიდევ, მთელი საქართველოს მთაბარი ფეხით რომ გაქვს შემოვლილი, განა ეს ცოტააო?

სათქმელი ბევრია, მაგრამ ზურაბ ლეჟავას ცხოვრებისეულ ინტერესებზე ყველაზე უკეთ მეტყველებენ თვით მისი ნახატები, შესრულებული როლები და სიმღერები, რომლებშიც სამშობლოს მთა-ბარის სიყვარულიც ჩანს, სახელოვანი სპორტსმენებისადმი დამოკიდებულებაც და, თუ გნებავთ, მისი სპორტული გატაცებაც.

**ავთანდილ ბურახაშვილი.**



## ინფორმაცია

**კალათბურთი.** საბჭოთა კავშირის ვაჟთა ნაკრებმა ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტაში ჯორჯიატექის უნივერსიტეტის გუნდს ანგარიშით 96:78 (41:32) დაამარცხა. ეს ჩვენი კალათბურთელების მეექვსე გამარჯვებაა აშშ-ში გამართულ ტურნეში.

**ძალოსნობა.** სოფიაში გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი. 82,5 კგ წონით კატეგორიაში გაიმარჯვა ბულგარელმა ათლეტმა ასენ ზლატევმა. ორჭიდის ჯამში მან 405 კგ მოაგროვა და მსოფლიო რეკორდი გაიმეორა, აკვრაში კი 225 კგ დაძლია და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მეორე ადგილი დაიკავა საბჭოთა სპორტსმენმა ისრაილ არსამაკოვმა — 390, მესამე — უნგრელმა ლასლო ბარშიმ — 385. ზლატევის გამარჯვების შემდეგ ბულგარელმა ძალოსნებმა გუნდური პირველი ადგილი გაინაღდეს (მათ უკვე ექვსი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს და ექვსი ოქროს მედალი მოიპოვეს). 90 კგ წონით კატეგორიაში საბჭოთა ძალოსნებმა იყოჩაღეს. მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა 23 წლის ცელინოგრადელმა ანატოლი ხრაპატიმ, რომელმაც 412,5 კგ მოაგროვა (185+227,5). ვერცხლის მედალიც მის თანაგუნდელს, კემეროვოელ ვიქტორ სოლოდოვს გადაეცა — 407,5 (180+227,5), მესამე იყო უნგრელი ზოლტან ბალაშფი — 392,5.

**ფეხბურთი.** ტოკიოში მიმდინარე იაპონიის თასის გათამაშების მორიგ მატჩში საბჭოთა ფეხბურთელებმა სამხრეთკორეელები ანგარიშით 3:0 დაამარცხეს.

## შაში

**გრონინგენში** (ჰოლანდია) დაიწყო ვაჟთა მსოფლიო პირველობა 100-უჯრიან შაშში. შეჯიბრებაში 10 ქვეყნის 20 წარმომადგენელი მონაწილეობს. საბჭოთა კავშირის სპორტულ ღირსებას იცავენ დიდოსტატები — მსოფლიო ჩემპიონი ანატოლი განტვარგი (მინსკი), მიხეილ კორენევსკი, სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი ალექსანდრე დიბმანი (ორივე — ლენინგრადი), ოლიმპიური ჩემპიონები ალექსანდრე ბალიაკინი (არხანგელსკი) და ნიკოლაი მიშჩანსკი (ტაშკენტი).

I ტურში განტვარგი, ბალიაკინი, კორენევსკი და მიშჩანსკი ყაიმით დაკმაყოფილდნენ. დიბმანმა დაამარცხა აფრიკის ჩემპიონი ბაბა კანე (სენეგალი).

• • •

**ტალინში** სტარტი აიღო სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატმა 64-უჯრიან შაშში. ტურნირი ორ ეტაპად ტარდება. ჯერ შვეიცარიული სისტემით 10 ტური გაიმართება, მერე 10 უძლიერესი მოშაშე წრიული სისტემით განაგრძობს ბრძოლას.

შეჯიბრება მოგებით დაიწყეს მსოფლიო ჩემპიონმა ა. კანდაუროვმა, ა. შვარცმანმა (ორივე — მოსკოვი), ვ. გაბრიელიანმა (ბაქო), ა. პლასინმა (მინსკი), ა. უუტმა და ვ. ლუხტმა (ორივე — ესტონეთი).

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 9 ნოემბერს გამართული „სპორტლოტოს" მორიგი, 45-ე ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45"-იდან:** გაიყიდა 742004 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (23 ბარათი) მოგება 2648 მანეთია, ოთხისთვის (1703) — 39, სამისთვის (31753) — 3.

**„სპორტლოტო 5 36"-იდან:** გაიყიდა 5 886044 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (38 ბარათი) მოგება 9371 მანეთია, ოთხისთვის (5954) — 95, სამისთვის (168814) — 5.

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. გაჩეჩილაძე.**

ინდექსი: 66485. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხაზარაულის ქ., 29. უე 07725